ქუთაისის. ცენტრალური სტადიონი. 10 მაისი. 27000 მაყურებელი.

„ტორპედო“ - აბუსერიძე, ფრუიძე, მალანია, ჭელიძე, ვასაძე, ხარაიშვილი, კორღალაძე, ჟორჟიკაშვილი, მეგრელიძე, ხაგბა, შენგელია.

„დინამო“ - გაბელია, კეტაშვილი, ცაავა, არზიანი, კუდინოვი, მახარაძე, სვანაძე, სულაქველიძე, გურული, გაზაევი, ჩელებაძე.

მსაჯი ა. ხორლინი (მოსკოვი).

გააფრთხილეს გაზაევი, ფრუიძე, კორღალიძე.

დუბლიორები - 1:2. გოლები გაიტანეს ივანეიშვილმა („ტორპედო“), მენთეშაშვილმა და პაპუნაძემ.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შეხვედრები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. გამონაკლისი არც ეს მატჩი იყო. მით უმეტეს, რომ წინა ტურში ორივე ჩვენმა გუნდმა სტუმრად მარცხი განიცადა და, ბუნებრივია, მეტოქეებს მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ეფიქრათ. ორივე გუნდის ფეხბურთელები აქტიურად იბრძოდნენ, თუმცა მონდომება მეტი აღმოჩნდა, ვიდრე თავდამსხმელთა ოსტატობა. სწორედ ამან განაპირობა, რომ მატჩი უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა მეტოქეებს გოლის გატანის რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდათ.

ამ მატჩში მეტოქეები ორ-ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაშობდნენ. ასეთ დროს, როცა წინა ხაზზე ძალთა თანაფარდობაა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნახევარმცველთა აქტიურ თამაშს. მატჩის დასაწყისში უფრო ორგანიზებულად მასპინძელთა შუა ხაზის მოთამაშეები მოქმედებდნენ. გარკვეულ ტერიტორიულ უპირატესობაც ტორპედოელებს ჰქონდათ, მაგრამ მათი თავდამსხმელები ერთფეროვნად მოქმედებდნენ და თბილისელთა დაცვის დაძლევა ვერ მოახერხეს. შორიდან დარტყმებს კი გაბელიას კარისთვის არავითარი საშიშროება არ შეუქმნია.

იმ დღეს დინამოელთა შუა ხაზში პირველად ვიხილე მცველი კუდინოვი, რომელიც კარგად შეეგუა ახალ ამპლუას. სწორედ მისი აქტიური თამაშის წყალობით თბილისელებმა პირველ ნახევარში შეძლეს რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევის წამოწყება. ჯერ არზიანმა განახორციელა გრძელი რეიდი და ბურთი ზუსტად მიაწოდა ქუთაისელთა საჯარიმო მოედანზე მყოფ ცაავას, რომელმაც ბოლო მომენტში წაიბორძიკა და ზუსტად დარტყმა ვერ შეძლო. ორიოდე წუთის შემდეგ ჩელებაძემ მეკარის პირისპირ გაიყვანა გაზაევი, რომელიც ზედ საჯარიმო მოედნის წინა ხაზთან წააქციეს. შემდეგ გურულის ძლიერად დარტყმული ბურთი აბუსერიძემ მოიგერია.

პირველი ნახევრის მიწურულს უპირატესობას კვლავ „ტორპედო“ დაეუფლა. ხაგბამ და ჭელიძემ ზედიზედ ორჯერ გაიყვანეს მეგრელიძე გაბელიას პირისპირ, თავდამსხმელის დარტყმები კვლავ არაზუსტი გამოდგა.

თამაშის ტემპმა მეორე ტაიმში გაცილებით იკლო. შეტევებსაც სიმწვავე მოაკლდა. 45 წუთის განმავლობაში მხოლოდ ორი მომენტის აღნიშვნა შეიძლება, როცა მეგრელაძისა და გაზაევის დარტყმების შემდეგ ბურთი ძელმა მოიგერია. ეს იყო და ეს. მეტოქეები დიდ დროს ახმარდნენ დაცვიდან შეტევაზე გადასვლას და მცველებს არ გასჭირვებიათ საკუთარი კარის უსაფრთხოების შენარჩუნება.

თამაზ ხარაბაძე
(ჩვენი საკ. კორ)
ლელო 11.05.1986